

# ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2015 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანალიზი

## 1. შესავალი

განათლების უფლება დიდი ხანია აღიარებულია არა მხოლოდ როგორც ხელმისაწვდომობა განათლებაზე, არამედ ასევე ვალდებულება აღმოიფხვრას ყველა სახის ხარვეზი სისტემის ყველა დონეზე და დამტკიცდეს მინიმალური სტანდარტები ხარისხის უზრუნველსაყოფად.

ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიერ 2013 წელს შემუშავებულ იქნა განვითარების 6 წლიანი (2014-2019) სტრატეგიული გეგმა, რომლის გათვალისწინებით ყოველ სასწავლო წელს განისაზღვრება მოკლევადიანი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ძირითადი მიმართულებები. სტრატეგიულ გეგმაში მოცემულია პრიორიტეტები და მიზნები, რომელთა განხორციელებამ კონკრეტული სამოქმედო გეგმის მიხედვით, ხელი უნდა შეუწყოს შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილებით სტუდენტთა დასაქმებასა და თვითდასაქმების შესაძლებლობას, პროფესორ-მასწავლებლებისა და სტუდენტების პოტენციალის განვითარებას.

სამოქმედო გეგმა მთავარი მექანიზმია სტრატეგიული გეგმის უწყვეტი განხორციელებისათვის; მოიცავს სტრატეგიის ყველა კომპონენტს, კონკრეტულ ამოცანებსა თუ დაგეგმილ ღონისძიებებს.

ამ დოკუმენტის მიზანს წარმოადგენს ახალი უმაღლესი სასწავლებლის 2015 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის ანალიზი.

## **2. 2015 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმის სტრუქტურა.**

2015 წლის სამოქმედო გეგმა შედგება 4 ძირითადი მიმართულებისგან:

1. უსდ-ს სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფა;
2. უსდ-ს სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა;
3. უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა;
4. უსდ-ს სტუდენტთა წამახალისებელი აქტივობები.

თითოეულ მიმართულებაში გაწერილია ჩასატარებელი ღონისძიებები, შესრულების ვადები (კვარტლების მიხედვით) და შემსრულებლები. აღსანიშნავია, რომ კონკრეტული მიმართულებების განვითარებაში მონაწილეობას იღებს სასწავლებლის თითქმის ყველა სტრუქტურული ერთეული შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ რომ გუნდური მუშაობის პრინციპი მნიშვნელოვანია დაწესებულებისათვის.

2015 წლის მოკლევადიანი (ერთწლიანი) სამოქმედო გეგმა იხილეთ დანართში N1.

## **3. სამოქმედო გეგმის განხორციელებით მიღწეული შედეგები.**

**3.1 სასწავლო პროცესის ხარისხის სრულყოფის მიზნით დაგეგმილი 7 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 6 აქტივობა, არ განხორციელდა 1 აქტივობა.**

- ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება და მისი დადგენილი წესით აკრედიტაციაზე მუშაობა აქტიურად მიმდინარეობდა, საჭირო ადამიანური რესურსის მობილიზებითა და ძირითადი ლიტერატურის შეძენით, თუმცა ახალი საბაკალავრო პროგრამის დამატება სასწავლებლისათვის პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდა და შეჩერებული იქნა აღნიშნული პროცესი.
- როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მიუხედავად იმისა, რომ ახალ უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამაზე მუშაობა შეჩერდა, შეძენილ იქნა შესაბამისი ძირითადი ლიტერატურა.

- 2015 წლის სამოქმედო გეგმის მიხედვით დაგეგმილი იყო მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების გადახედვა , შედეგად კი მათი სრულყოფა შესაძლებელია წლის ნებისმიერ დროს , საჭიროების გათვალისწინებით. ამ შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირება განხორციელდა II - III კვარტალში.
- სტუდენტზე ორიენტირებული მიდგომისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია ადამიანური რესურსის ანალიზი/განახლება, როგორც პროფესორ-მასწავლებლების , ასევე ადმინისტრაციული პერსონალის. მაგ, 2015 წელს მოწვეულ იქნა ახალი კვალიფიცირებული პერსონალი, ასევე 2012 წლის 15 დეკემბრის N 17-კ ბრძანებით სამი წლის ვადით დანიშნულ ასისტენტ-პროფესორებს გაუგრძელდათ ვადა ერთი წლით.
- თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხელშეწყობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობები დამყარდა საქართველოს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან - საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან:
  - ✚ საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო;
  - ✚ ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატი;
  - ✚ შპს „საერთაშორისო საინფორმაციო-მოსამზადებელი, სასწავლო-მეთოდური ცენტრი - ევროპული განათლება“;
  - ✚ შპს „ეკკომ“;
  - ✚ სასტუმრო „Irooms forum & Colisseum“;
  - ✚ სააქციო საზოგადოება „გლობალ ერთი“;
  - ✚ შპს „იუნაიტედ სეკურიტი“ ;
  - ✚ შპს „ლამპარი“ (ქ. თბილისის საშუალო სკოლა) ;
- მომსახურების გაუმჯობესების მიზნით უსდ\_მა მოახდინა სტუდენტების ანკეტირება 2015 წელს 2ჯერ (შემოდგომა და გაზაფხული). შეფასდა, როგორც პროფესორ-მასწავლებლები, სასწავლო პროცესი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა ასევე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა კვლევის შედეგების ანალიზის გათვალისწინებით შეიმუშავა რეკომენდაციები.
- უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად, საფინანსო სამსახურის მიერ 2015 წლის ფინანსური გეგმა გაანალიზდა და გაიწერა მომდევნო წლის მოსალოდნელი ხარჯი.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო (სამართალმცონეობა) პროგრამის შემუშავება და მისი დადგენილი წესით აკრედიტაცია.			X	ახალი საბაკალავრო პროგრამის დამატებამ დაკარგა აქტუალობა .
ახალი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის (სამართალმცოდნეობა) შესაბამისი ძირითადი ლიტერატურის შეძენა	X			
მოქმედი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სილაბუსების თანამედროვე მოთხოვნების შესაბამისად სრულყოფა/მოდირიცირება. (საჭიროებისამებრ)	X			
ადამიანური რესურსის გადახედვა/განახლება	X			
სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით პროფესორ-მასწავლებლებისა სტუდენტების ანკეტირება. შედეგების ანალიზი და მათი გათალისწინება	X			

<p>თანამედროვე მოთხოვნების პროგრესული გამოცდილების შესწავლისა და განზოგადების, სტუდენტთა მობილობის, პროფესიული პრაქტიკის გავლისა და დასაქმების ხემწეობის მიზნით პარტნიორული ურთიერთობების დამყარება საქართველოს ავტორიზებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და დამსაქმებლებთან - საჯარო და კერძო სამართლის იურიდიულ პირებთან</p>	<p><b>X</b></p>			
<p>უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების მდგრადობის უზრუნველსაყოფად ფინანსური გეგმის გაანალიზება და მომდევნო წლის მოსალოდნელი ხარჯის გაწერა.</p>	<p><b>X</b></p>			

**3.2 სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით დაგეგმილ 4 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 4 აქტივობა.**

- უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლების მიზნით, შეძენილ იქნა შესაბამისი ინვენტარი მთელი წლის განმავლობაში, საჭიროების გათვალისწინებით.
- საჭიროების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით, განახლდა და შეძენილ იქნა კომპიუტერული ტექნიკა, სასწავლო და საოფისე ინვენტარი.

- ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემის ფონდი გამდიდრდა და შეივსო.
- სისტემატურად ახლდებოდა სიახლეებითა და სასარგებლო ინფორმაციებით სასწავლებლის ვებ-გვერდი. საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურის მიერ ხორციერდებოდა ვებ-გვერდის სრულყოფა თანამედროვე მოთხოვნებისა და სტანდარტების შესაბამისად.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების შესაბამისად მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლება.	X			
უახლესი მოდელის კომპიუტერული ტექნიკის, ასლგადამღები აპარატურის, პროექტორების, სასწავლო და საოფისე ინვენტარის შეძენა/განახლება	X			
ბიბლიოთეკისათვის ლიტერატურის და პერიოდული გამოცემების ფონდის გამდიდრება/შევსება;	X			
ვებ-გვერდის სრულყოფა და სისტემატური განახლება	X			

3.3 უსდ-ს სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ხელშეწყობის მიზნით დაგეგმილი 4 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 1 აქტივობა, 2 ნაწილობრივ და 1 აქტივობა არ შესრულდა.

- ჩატარდა უსდ-ს სტუდენტთა მეორე სამეცნიერო კონფერენცია. ასევე გამოიცა სტუდენტთა მეორე სამეცნიერო კონფერენციის თეზისების კრებული.
- უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების, ასევე სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში არ განხორციელებულა.
- უსდ-ს სამეცნიერო ჟურნალის მომზადებაზე გაგრძელდა აქტიური მუშაობა.
- უსდ-ს ცნობადობის ამაღლების მიზნით, როგორც წლიური ფინანსური გეგმის გაანალიზებიდან ჩანს, გაიხარჯა 6 ათას ლარზე მეტი, რაც წინა წელთან შედარებით 5-ჯერ მეტია.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
უსდ-ში სასწავლო-სამეცნიერო ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების და ოლიმპიადების ჩატარება		X		ჩატარდა მხოლოდ ადგილობრივი კონფერენცია.
უსდ-ს ადმინისტრაციული პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების, ასევე			X	საერთაშორისო კონფერენციებზე მონაწილეობა მიიღო მხოლოდ ადმინისტრაციულმა პერსონალმა

სტუდენტების მონაწილეობა ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში				
უსდ-ს სამეცნიერო ჟურნალის მომზადება და პერიოდული გამოცემა		X		გაგრძელდა აქტიური მუშაობა ჟურნალის მოსამზადებლად .
უსდ-ს ცნობადობის ამაღლების მიზნით პიარის მხარდაჭერა (სარეკლამო მომსახურების მიღება)	X			

**3.4 უსდ-ში დაგეგმილი სტუდენტთა წამახალისებელი 4 აქტივობიდან სრულად განხორციელდა 4 აქტივობა.**

- სასწავლო წლის დაწყებისთანავე, სტუდენტთა მოტივაციის ამაღლების მიზნით, მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის დაინიშნა სტიპენდიები.
- სოციალურად მოწყვლად სტუდენტებს სწავლის საფასურში გაეწიათ შეღავათები. მსგავს მხარდაჭერას ადგილი ჰქონდა სასწავლო წლის ნებისმიერ კვარტალში, სტუდენტთა საჭიროებების გათვალისწინებით.
- აქტიური სტუდენტური ცხოვრების ხელშეწყობის მიზნით ფინანსდებოდა ექსკურსიები, სპორტული და კულტურული ღონისძიებები. ფინანსური გეგმის გაანალიზების შედეგად შეგვიძლია ვთქვათ, რომ 9 ათას ლარზე მეტი



დაიხარჯა სტუდენტთა წამახალისებელი აქტივობებისათვის (სტიპენდია, გრანტი, თვითმართველობისათვის გამოყოფილი თანხები და ა.შ)

- პროფესიული ზრდისა და კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით ჩატარებული საჯარო ლექცია-სემინარები :

- ✚ მსახიობისა და ტელეწამყვანის ლელა ნინუას პოეზიის სადამო;
- ✚ ეროვნული ბიბლიოთეკის დირექტორი გიორგი კეკელიძე თემით „ქართული ენის როლი, მსოფლიო ლიტერატურაში“ ;
- ✚ ბიზნეს ტრენერი , ლექტორი და NX სპიკერი ლიკა ოხანაშვილი თემით „როგორ გავიაროთ გასაუბრება წარმატებით და როგორ შევავსოთ CV“ ;
- ✚ საჯარო გამოსვლებისა და პიროვნული განვითარების ტრენერი სოფიკო ქვარცხავა თემით „საჯარო გამოსვლის ხელოვნება“.

აქტივობა	შესრულდა	ნაწილობრივ შესრულდა	არ შესრულდა	შენიშვნა
მაღალი რეიტინგის მქონე სტუდენტებისათვის სტიპენდიების დანიშვნა	X			
სოციალურად მოწყვლადი სტუდენტებისათვის სწავლის საფასურის გადასახადში შეღავათების გაწევა.	X			

<p>სტუდენტური  თვითმმართველობის მიერ  დაგეგმილი ექსკურსიების,  სპორტული და კულტურული  ღონისძიებების მხარდაჭერა  (დაფინანსება)</p>	<p><b>X</b></p>			
<p>პროფესიული ზრდისა და  კვალიფიკაციის ამაღლების  მიზნით საჯარო ლექცია-  სემინარების მოწყობა.</p>	<p><b>X</b></p>			